26 F75 ✓ 4879

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
პარასკევი
1
ივნისი
№ 125
(17470)
ფასი 2 კაპ.

ჩვენი მოგზავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის პირველი თვის პირველი დღე ჩვენს პატარებს ეკუთვნით;

1 ივნისი კლანეტის მომავლის— ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მასალები იხილეთ ჩვენი გაზეთის მე-3-4 გვერდებზე

ბ. ლომაძის პლაკატი.

ა. სააკოვისა და ს. კილაძის ფოტო.

უზრუნველვყოთ პროპაგანდის მაღალი მეცნიერული დონე

ბოლშევიზმისაკენ ჩვენი საზოგადოების წინსვლის კვალობაზე იზრდება იმ ამოცანების მასშტაბი და სირთულე, რომლებსაც პარტია და ხალხი წყვეტენ. სულ უფრო საჭირო ხდება შემოქმედებითად ვავითარებდეთ და ვიყენებდეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მეცნიერულად ვასაბუთებდეთ რევოლუციურ-გარდამქმნელი პრაქტიკის ყველა მხარეს.

კომუნისტური აღზრდა, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება ამ პრაქტიკის ყველაზე რთული ნაწილია. აქ განსაკუთრებით საჭიროა დაკვირვებული, ნამდვილად მეცნიერული, კომპლექსური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ადამიანთა ცხოვრების სწრაფად ცვალებად პირობებს, მათი განათლების, კულტურის, ინფორმირების ზრდას. განუხრელად გავაძლიეროთ იდეური აღზრდის ეფექტიანობა, უზრუნველვყოთ პროპაგანდისა და აგიტაციის მაღალი დონე — ახლთია „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა.

პროპაგანდასა და აგიტაციაში მეცნიერულობის ორიენტაცია ლენინური პარტიის ურყევი ტრადიციაა. მასებში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ძალას, ავტორიტეტსა და გავლენას გადამწყვეტწილად განსაზღვრავს მისი შინაარსი, საზოგადოებრივი რეალობის ასახვის სიზუსტე და სიღრმე, ხალხის მასების ძირეული ინტერესების გამოხატვის უნარი, იდეალების სამართლიანობა და სიდიადე, მიზნების კონკრეტულობა და ცხოველმყოფელობა.

თავისი არსით ღრმად მეცნიერულია პარტიის მიერ წამოყენებული ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროგრამაც. ამ დარგში მთავარი ამოცანები ის არის, რომ ყველა მშრომელი აღეზარდოთ მაღალი იდეურობისა და სოციალისტური სამშობლოს, კომუნიზმის საქმის ერთგულების სულისკვეთებით, ჩავუნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, მთლიანად დავძლიოთ ბურჟუაზიული შეხედულებანი და წეს-ჩვეულებანი, ყოველმხრივ ჰარმონიულად განვავითაროთ პიროვნება, შევქმნათ სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრე.

კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს თეორიისა და პრაქტიკის, ცოდნისა და მოქმედების, სიტყვისა და საქმის ერთიანობას. ლაპარაკია იმაზე, რომ კომუნისტური მსოფლმხედველობის პრინციპები, სოციალურ-პოლიტიკური ცოდნა, ჩვენი იდეალები და ღირებულებანი თითოეული საბჭოთა ადამიანის კუთვნილება, მისი ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ღერძი, ქცევის შინაგანი მოტივების საფუძველი, მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია გახდეს.

ПРАВДА
31 მაისის მოწინავე

საბჭოთა ადამიანებმა იციან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძალა ლენინისმართლიანობა, მთელი არსებით ელტვიან რევოლუციური თეორიის დაუფლებას. მისი მასობრივი შესწავლა გახდა მომწიფებული სოციალიზმის პირობებში საზოგადოებრივი შეგნების განვითარების დამახასიათებელი ნიშანი. ახლა ამოცანა ის არის, რომ განუხრელად ავამაღლოთ იდეურ-პოლიტიკური სწავლების ხარისხი, მისი თეორიული დონე, უფრო კონკრეტულად, უფრო ეფექტიანად, წარმართოთ იდეოლოგიური მუშაობა, როგორც ამას მოითხოვს სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პარტიის სხვა დოკუმენტები.

ცხოვრებასთან, მილიონთა ყოველდღიურ საქმიანობასთან და პრაქტიკულ გამოცდილებასთან კომუნისტური იდეალების კავშირის შემდგომ განმტკიცებას ხელს უწყობს განვითარებული სოციალიზმის მოძღვრების, საერთო-სახალხო სახელმწიფოს შესახებ დებულებების ამტკიცური პროპაგანდა. ყოველ ადამიანს გავაგებინოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამ თვალსაჩინო თეორიული მიღწევების აზრი — ეს ნიშნავს უფრო სრულად გამოვავლინოთ ახალი წყობილების ისტორიული უპირატესობანი, სოციალისტური ცხოვრების წესის ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი. ამ მიმართულებით მუშაობა ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანების შეგნების, ორგანიზებულობისა და სოციალური აქტიურობის ამაღლებას უცხო იდეური გავლენების წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ქმედითობას.

ცხოვრება დღენიადაგ აყენებს ახალ ამოცანებსა და პრობლემებს. მათს კვლევასა და გადაწყვეტაში პარტია ბევრ რამეს მოელის საბჭოთა საზოგადოებათმეცნიერებისაგან, რომელთა წვლილი იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკაში, უეჭველია, შეიძლება იყოს და კიდევაც იქნება უფრო დიდი, საკმარისია აღვნიშნოთ იდეურ აღზრდასთან დაკავშირებული ისეთი უშუალო საკითხები, როგორიც არის შრომის ორგანიზაცია და სტიმულირება კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში, მოწინავე გამოცდილების გეგმაზომიერი ათვისება და გავრცელება, აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომასთან სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფის კავშირი, სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაფართოების გზები და სხვ. საჭიროა უფრო გააზრებულად ვგეგმავდეთ კვლევას, უკეთ ვამზადებდეთ და წარვმართავდეთ მეცნიერ მუშაკთა კადრებს, ყოველნაირად განვამტკიცებდეთ ცხოვრებასთან მათს კავშირს.

თემები, რომლებსაც ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერება ამუშავებს, უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ იდეოლოგიური საქმიანობის პრაქტიკაში. ამისათვის უნდა დავძლიოთ მეცნიერულ ნაშრომებში ჯერ კიდევ აქა-იქ არსებული ყალბი აკადემიზმი, ფსევდომეცნიერული ენა, მარტივ დებულებათა ხელოვნურად გაერთულებული ჩამოყალიბება. ჭეშმარიტი მეცნიერულობა არ ეწინააღმდეგება პოპულარობას, მაშინ როცა მოჩვენებითი მეცნიერულობით ჩვეულებრივ ნიღბავენ უშნაარსობას. ენინალური მეცნიერი და მგზნებარე პუბლიცისტი ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „პოპულარიზაცია... ძალიან დაშორებულია ვულგარიზაციას, პოპულარობანსა. პოპულარული მწერალი, სულ უბრალო და საყოველთაოდ ცნობილი ცნობები რომ მოგაყვს, მარტივი მსჯელობით ან ოსტატურად შერჩეული მაგალითებით რომ აღნიშნავს ამ ცნობებიდან გამოყვანილ მთავარ დასკვნებს, ამით მკითხველს უღვიძებს ღრმა აზრებს, მის წინაშე შლის ღრმა მოძღვრებას და მოაზროვნე მკითხველს აღუძრავს ახალ-ახალ კითხვას“. საბჭოთა მკითხველი სწორედ ასეთი მკითხველია და იგი ღირსია იმისა, რომ საქმე ჰქონდეს წიგნებთან, ბროშურებთან, სტატიებთან, საუბრებთან, ლექციებთან, რომლებიც სრულფასოვანი იქნება შინაარსითაც და ფორმითაც.

ღრმა შინაარსისა და მკაფიო პუბლიცისტური ფორმის ერთიანობის მაგალითია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „უკმირი“. ამ ნაწარმოებები გაუჭებულია პარტიისა და ხალხის ისტორიული გამოცდილების ფასდაუდებელი მნიშვნელობა, მოცემულია რევოლუციურ ბრძოლაში, აღმშენებლობითს შრომასა და სამშობლოსათვის ბრძოლებში გამოწრთობილი სოციალისტურ ტრადიციებზე საბჭოთა ადამიანების აღზრდის საგნობრივი გაკვეთილი.

ვაყენებდეთ პროპაგანდისა და აგიტაციის ცენტრში საზოგადოებრიობაშესათვის დიდად საინტერესო მომწიფებულ პრობლემებს, ვაშუქებდეთ მათ გასაგებად, პუბლიცისტურად — მხოლოდ ამ გზით შეიძლება გავუღვიძოთ მკითხველებს, მსმენელებს, მაყურებლებს სურვილი არა მარტო იფიქრონ ამ პრობლემებზე, არამედ აქტიური მონაწილეობაც მიიღონ მათს გადაწყვეტაში. არადა, სწორედ ეს არის იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ამოცანა, სწორედ ამას უნდა ეშრომოდნენ პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი, რომლებიც პარტიის პოლიტიკური მებრძოლები, მისი იდეების აქტიური გამტარებლები უნდა იყვნენ.

მოგონებათა ხუთტომეული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა შეუდგა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი მოგონებების ხუთტომეულის გამოშვებას. პირველი ტომი გამოვიდა ვლადიმერ ილიას ძის დაბადების 109-ე წლისთავის წინ. მასში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის ნათესავების — დების ანა ილიას ასული და მარიამ ილიას ასული ულიანოვების, ძმის დიმიტრი ულიანოვისა და ვლადიმერ ილიას ძის ერთგული თანამებრძოლის, შეიულლისა და მეგობრის ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაიას მოგონებები.

წიგნი დაიბეჭდა „კრასნი პროლეტარის“ სტამბაში. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოში, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების, წარმოების რეზერვების გამოყენების ეფექტიანობის რესპუბლიკური დათვალიერების მოწყობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღეს დადგენილება მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების, წარმოების რეზერვების გამოყენების ეფექტიანობის რესპუბლიკური დათვალიერების მოწყობის შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — ვიბრძოლოთ რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებისა და მასალის მომჭირნე ხარჯვისათვის, — პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისაგან, სამეურნეო ხელმძღვანელებისა და სახალხო კონტროლის ორგანოებისაგან მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და ყოველდღიურ მიზანდასახულ მუშაობას. მომჭირნეობისა და ყაირათიანობის საკითხები, უყაირათობასთან, სახალხო მეურნეობაში ყოველგვარ დანაკარგებთან ბრძოლის გაძლიერების ამოცანები პოლიტიკური, ორგანიზაციურული და სამეურნეო მუშაობის წინა პლანზეა დაყენებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გეგეროლური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე და სიტყვაში, რომელიც 1979 წლის 2 მარტს წარმოთქვა ბუმაშის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლისას.

იმის გამო, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა მშრომელის ფართო ჩაბმას ნედლეულისა და მასალის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე, ყაირათიანი ხარჯვისათვის, პროდუქციის დამზადების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ყველა ეტაპზე მისი დანაკარგების და გაფუჭების შესამცირებლად, წარმოების ორსებული რეზერვების სრული გამოყენებისა და დამატებითი რეზერვების გამოსაძებნად გაჩაღებულ აქტიურ ბრძოლაში, რაც ხელს შეუწყობს 1979 წლისა და საერთოდ მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გადაწყვიტეს 1979 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრამდე რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში, სამინისტროებსა და უწყებებში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში მოეწყოს მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების, წარმოების რეზერვების გამოყენების ეფექტიანობის რესპუბლიკური დათვალიერება.

დამტკიცებულია დებულება მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების, წარმოების რეზერვების გამოყენების ეფექტიანობის რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ.

საწარმო-ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიებმა, ქალაქები, ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქი, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწევენ ამ დათვალიერებაში, დაჯილდოდებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დიპლომებით.

დათვალიერების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოს, რომ ამომქმედდეს და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული წარმოების ყველა რეზერვი, რათა მშრომელთა კოლექტივებმა გადაკარგებები შეასრულონ 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებანი და მტკიცე საფუძველი შეუქმნან მეათე ხუთწლედის დაძაბულ დავალებათა წარმატებით რეალიზაციას; დაჩქარდეს წარმოების მოცულობის ზრდა დარგებში, სადაც ჩამორჩენაა, და უთუოდ მეათე ხუთწლედის დავალებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

დათვალიერება მიზნად ისახავს შეამციროს საგეგმო მაჩვენებლებთან შედარებით მატერიალური რესურსების ხარჯი, განავითაროს მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობა წარმოების რეზერვების გამოსაძებნად, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის საბრძოლველად, განაზოგადოს და გავრცელოს ამ დარგში შეძენილი დადებითი გამოცდილება.

პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, დარგობრივი პროფკავშირების კომიტეტებს, კომკავშირულ ორგანოებსა და სახალხო კონტროლის ორგანოებს დაეგალათ შეიმუშაონ და განახორციელონ დათვალიერების პროცესში საჭირო ღონისძიებათა კომპლექსი, რაც ხელს შეუწყობს მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების ამოცანების გადაწყვეტას.

გადაწყდა, სახალხო მეურნეობის დარგებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში დათვალიერებისადმი ხელმძღვანელობის გასაწევად შეიქმნას დათვალიერებელი კომისიები (შტაბები), რომლებშიც შევლენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სახალხო კონტროლის ორგანოების, სამეურნეო ორგანიზაციების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი, კომპეტენტური სპეციალისტები.

დადგენილებით გათვალისწინებულია აგრეთვე მთელი რიგი სხვა ორგანიზატორული და პოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების, წარმოების რეზერვების გამოყენების ეფექტიანობის რესპუბლიკური დათვალიერების წარმატებით მოწყობას. (საქინფორმი).

ხუთი თვის გეგმა — ვადამდე!

რესპუბლიკის მრეწველობა

რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 30 მაისს, გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის იანვარ-მაისის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის საწარმოო გაერთიანებებმა „საქნავთობის“, „საქსამთოქიმმრეწვის“, „ელექტროაპარატის“, „ელექტროხელსაწყოს“, „ელვას“, „ელმავალმშენებლის“, „თბილისელოსის“, წინდის; სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის, კერამიკული, საშენ მასალათა, კონიაკის კომბინატების; ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალის“, № 3 ტრიკოტაჟის, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური „ივერიის“ ფაბრიკების ოლქმრეკლამებმა. (საქინფორმი).

თბილისის მრეწველობა

ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და 30 მაისს გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-მაისის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საწარმოო გაერთიანებების „ელექტროაპარატის“, „ელექტროხელსაწყოს“, „ელვას“, „ელმავალმშენებლის“, „თბილისელოსის“, წინდის, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის; კერამიკული, საშენ მასალათა კომბინატების; ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალის“, № 3 ტრიკოტაჟის, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური „ივერიის“ ფაბრიკების ოლქმრეკლამებმა. (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება

30 მაისს ბუდაპეშტში მოლაპარაკება დაიწყეს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ, რომელშიც შედიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), ა. ა. გრომიკო, კ. უ. ჩერნენკო, კ. ვ. რუსაკოვი, ი. ვ. არხიპოვი, ვ. თ. დობრიკი, ვ. ი. პავლოვი, და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც არიან ამხანაგები ი. კადარი (დელეგაციის მეთაური), პ. ლოშონცი, დ. ლაზარი, კ. ნემეტი, ა. დენეში, ლ. მეხეში, ფ. პუია, მ. სიურეში.

ი. კადარი გულითადად მიესალმა ლ. ი. ბრეჟნევს, საბჭოთა დელეგაციის წევრებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ვიზიტს, რომელიც უპირველესი მნიშვნელობის მოვლენაა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ვიზიტი ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს მტკიცე ძმური მეგობრობა აკავშირებთ. ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა გულითადი შეხვედრის გამო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურღვევ მეგობრობას და ორი ქვეყნის პარტიათა და ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია იმ მუშაობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა შესახებ, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, საბჭოთა და უნგრელი ხალხები ეწევიან სკკპ XXV ყრილობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

დიდი კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ფართოდ და დინამიკურად ვითარდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობა ყველა დარგში — პოლიტიკაში, ეკონომიკაში, იდეოლოგიაში. ამას გადამწყვეტწილად უწყობს ხელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მჭიდრო კავშირი, რომელიც კიდევ უფრო განვითარდება მომდევნო წლებში. სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას განზრახული აქვთ გააღრმაონ თანამოქმედება სამეურნეო სფეროში და მიაღწიონ წარმოების კოოპერაციისა და სპეციალიზაციის გზაზე ერთმანეთთან თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის უპირატესობათა უფრო სრულ გამოყენებას. გამოითქვა ორმხრივი დაინტერესება კულტურის დარგში ურთიერთობის შემდგომი გაფართოებით.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას, საბჭოთა ხალხსა და უნგრელ ხალხს თავიანთი ძმური თანამშრომლობა **სოციალისტური თანამეგობრობის** და მისი საერთაშორისო გავლენის განტკიცების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნიათ.

გაიმართა აზრთა გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ერთობლივი შეფასება მიეცა მსოფლიოს ახლანდელ ვითარებას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის გაღრმავების პერსპექტივებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი და უნგრეთი სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად კვლავაც

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: მოლაპარაკების დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

პორტუგალიის კომპარტიის IX ყრილობაზე

30 მაისს მოსკოვიდან ლისაბონში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

ლისაბონის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიისა და სამდივნოს წევრი ოქტავიო პატუ, ავრეთვე სსრ კავშირის ელჩი პორტუგალიის რესპუბლიკაში ა. ი. ალანინი.

ლისაბონის აეროპორტში გამოსულნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა თქვა: „საბჭოთა და პორტუგალიელ კომუნისტებს ოდითგანვე ეკავშირებთ ძმური მეგობრობა და ქმედითი სოლიდარობა. ფაშიზმის წინააღმდეგ, თავისი ხალხის ბედნიერებისათვის პორტუგალიელ კომუნისტთა თავდადებული ბრძოლა არ შეიძლება დიდი პატივისცემის გრძნობას არ იწვევდეს და მეხსიერებაში აღგვიდგენს პორტუგალიის საუკეთესო შვილების სიმტკიცისა და გმირობის მაგალითებს.

პორტუგალიელ კომუნისტებს დღესაც მნიშვნელოვანი, კონსტრუქციული წვლილი შეაქვთ ახალი — თავისუფალი და დემოკრატიული პორტუგალიის მშენებლობის საქმეში 25 აპრილის რევოლუციით დამკვიდრებულ საფუძვლებზე. აი რატომ არის, რომ განუხრელად იზრდება პორტუგალიის კომპარტიის პრესტიჟი ქვეყანაში და საზღვარგარეთ. აი რატომ არის, რომ ჩვენი დელეგაცია დიდი ამაყოფილებით დათანხმდა პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევას და დღეს პორტუგალიის დედაქალაქში — ლისაბონში ჩამოვიდა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ვიზიტი თქვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ძმური მეგობრობის განმტკიცებას. გვინდა ავრეთვე ვიდი ციერნოთ, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და პორტუგალიის ურთიერთგაგებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოებას“. (საკდესი).

კვლევა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, დღეს სარემონტო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად, კოსმონავტებმა ვლადიმერ ლიახოვმა და ვალერი რუმინმა შეცვალეს ავტონომიური ნავიგაციის „დელტას“ სისტემის მართვის პულტი. ახალი პულტი სადგურში მიეტანა „პროგრეს-6“ სატვირთო ხომალდმა.

ეკიპაჟის მოხსენებებითა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „სალუტ-6“ — „სოიუზ-32“ — „პროგრეს-6“ ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი ჯანმრთელად არიან.

სურათზე: ჯილდოს გადაცემის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა ჯილდო გადასცა უნგრეთის კომბინატს

ბუდაპეშტი, 31 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პარლამენტის შენობაში შეიკრიბნენ ჩეპელის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი კომბინატისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა საწარმოების სოციალისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები, მუშათა კლასის წარჩინებულნელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. დარბაზში არიან უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს გენერალური მდივანი შ. გაშპარი და უნგრეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. მაროტი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. დენეში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. მეხეში, უნგრეთის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელები.

აქ არიან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები — ამხანაგები ა. ა. გრომიკო, კ. უ. ჩერნენკო, კ. ვ. რუსაკოვი, ი. ვ. არხიპოვი, ვ. თ. დობრიკი, ვ. ი. პავლოვი.

ჩეპელის კომბინატის კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადასცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა. საბჭოთა კავშირის ეს საპატიო ჯილდო ხალხთა განმეორებულ საწარმოს მიენიჭა დიდი რევოლუციური დამსახურებისათვის, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით.

ორდენის გადაცემის დროს გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს სასიამოვნო მოვალეობა მაკისრია — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი უნდა გადავცე წითელი ჩეპელის სახელოვან შრომითს კოლექტივს.

მოვალეობა ორმაგად სასიამოვნოა, რადგან თავი მიმაჩნია ჩეპელელად. კარგად მახსოვს შეხვედრა კომბინატის კოლექტივთან, როცა კადრის მუშის საპატიო წოდება მომანიჭეს.

წითელ ჩეპელს აქვს ბიოგრაფია, რომლითაც სრულიად საფუძვლიანად შეიძლება იამაყოს თითოეულმა მუშამ, ტექნიკოსმა, ინჟინერმა — ყველამ, ვინც მის ქარხნებში შრომობს.

დღეს მინდა შევეხო ორ მომენტს წითელი ჩეპელის ცხოვრებაში, რომლებთანაც ბევრად არის დაკავშირებული მისი საერთაშორისო სახელი.

ეს, ჯერ ერთი, არის ჩეპელელთა აქტიური მონაწილეობა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამყარებაში. და თუმცა იმხანად სახალხო ხელისუფლება უნგრეთში ვერ დამკვიდრდა, მაგრამ ეს იყო საბჭოთა რუსეთისათვის დიდი შთამაგონებელი დახმარება.

და მეორე მომენტი — აგრეთვე თავისებურად ღირსშესანიშნავი — 1977 წლის იანვარი. მაშინ წითელი ჩეპელიდან გაისმა მოწოდება, რომ დაწყებულიყო შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამეცე წლისთავის აღსანიშნავად. ჩეპელელებმა თითქოს მიიღეს ესტაფეტა, რომელიც შორეული 1918 წლიდან მოდის. მათი შემართება ეხმიანებოდა მოსკოვის სახალისებელი დეპოს მუშათა ენთუზიაზმს, რომელშიც ლენინმა დაინახა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ყლორტები.

ჩეპელის კოლექტივმა შეძლო გამოეხატა ის, რაც, შეიძლება ითქვას, უკვე მომწიფებული იყო. სწორედ ამიტომ მის თაოსნობის მხარი დაუჭირეს მომძე ქვეყნებში და დასაბამი მიეცა სოციალისტურ შეჯიბრებას ინტერნაციონალური მასშტაბით ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად.

და ეს ძალიან კარგია, ამხანაგებო, რომ მუშათა კლასი ინტერნაციონალისტი კლასი იყო და არის.

საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მუშების, მუშათა მოძრაობა კაპიტალის ქვეყნებში, შეიძლება ითქვას, ყოველდღე ცხადყოფენ მაღალ ინტერნაციონალურ შეგნებას, მხარში დგომის გრძნობას, სოლიდარობას მართალი საქმისათვის ხალხთა ბრძოლასთან. გმირი ვიეტნამის მხარდაჭერა აი ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი.

არსებითად, სწორედ მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათთან გადამწყვეტწოლად არის დაკავშირებული კაცობრიობის იმედები, რომ იქნება მშვიდობა, რომ გაიმარჯვებს თავისუფლება, სიკეთისა და სამართლიანობის იდეალები.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა მშრომელების სახელით გულითადად ძმურად მივესალმო მუშათა კლასს, მთელ მშრომელ უნგრეთს.

სულითა და გულით ვუღოცავ ჩეპელელებს დამსახურებულ ჯილდოს.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა ჩეპელის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანს ა. ერნსტს.

საწარმოს კოლექტივის სახელით ა. ერნსტმა საპასუხო სიტყვა წარმოთქვა. მან თქვა: ეს დღე ჩეპელის კომბინატის ისტორიაში, ჩვენი შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში დარჩება თვალსაჩინო მოვლენად, შესანიშნავ დღესასწაულად. 30 ათასზე მეტი მისი მშრომელის — კომუნისტების, კომკავშირელების, შრომის ვეტერანების სახელით გულითად მადლობას მოვახსენებ ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, მოძმე კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, აქ დამსწრე ყველა ძვირფას საბჭოთა ამხანაგს, მათი სახით კი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს, საბჭოთა ადამიანებს, დიდი პატივისათვის — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით ჩეპელის კომბინატის დაჯილდოებისათვის.

ამ დაუვიწყარი მოვლენის სამახსოვროდ ა. ერნსტმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს გადასცა ბრინჯაოს ქანდაკება „მეტალურგი“, რომელიც სიმბოლოურად გამოხატავს უნგრეთის მუშათა კლასის სულის სიდიადესა და ენერგიულობას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი. მან აგრეთვე გადასცა ჩეპელის რადიოსადგურის მაკეტი, რომლის მეშვეობით 1919 წელს დამყარდა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პირდაპირი კავშირი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადთან ვ. ი. ლენინთან.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება

(დასასრული)

ყველაფერს იღონებენ, რათა დაამკვიდრონ საერთაშორისო ძაბულობის შენელება, მიანიჭონ ამ პროცესს შეუქცევადი ხასიათი.

ორი ქვეყნის პარტიისა და მთავრობის დელეგაციებმა ხაზგასმით აღნიშნეს ვარშავის ხელშეკრულების წევრი ქვეყნების იმ ახალი ინიციატივების აქტუალობა, რომელთა მიზანია განამტკიცონ სახელმწიფოთა შორის ნდობა და მიაღწიონ სამხედრო დაძაბულობის შენელებას ევროპის კონტინენტზე.

სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება ხელშეკრულებას, რომელსაც სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები სდებენ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

მოლაპარაკება მიმდინარეობს გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში, სრული ურთიერთგაგებითა და ყველა განსახილველ საკითხზე შეხედულებათა ერთიანობის ვითარებაში.

მოლაპარაკებაში აგრეთვე მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ტ. ა. კისელიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების კონსულტანტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ნ. ვ. შიშლინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის უფროსი თანაშემწე ვ. გ. მაკაროვი; უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე ი. ბერეცი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ლ. ფოდორი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. როშკა.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

(საკდესი).

„კომუნისტის“ სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

რით აპირებენ პირუტყვის გამოკვებას?

□ ასურეთსა და კოდაში არღვევენ სენაჟის ჩადების ტექნოლოგიას □ ასე წახევრდება ძვირფასი საკვების ყუათიანობა.

მხარი დავუჭიროთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს, აქტიურად მონაწილეობა მივიღოთ პირუტყვის საკვების დაგროვებაში, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში!

მშრალმა და უთოვლო ზამთარმა ერთობ დაადგინა და გაუარესა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების, ნათესი და ბუნებრივი ბალახის აღმონაცენის სრულყოფილი განვითარება. გაზაფხულის დადგომაც სასიკეთოს არაფერს უქადდა მემინდვრეებსა და საკვებმომპოვებლებს, მაგრამ აპრილის მეორე ნახევრიდან მოყოლებულმა და მაისის ხშირწვიმიანობამ მინდვრები და მდელოები გამოაცოცხლა, ბუნებრივი და ნათესი ბალახები ერთბაშად წამოვიდა და მთიბავებს მოუხმო. გაჩაღდა თიბვა და დასენაჟება. **25 მაისისათვის ჩადებულია 39.972 ტონა სენაჟი, წლიური გეგმა-ვალდებულება კი 810.000 ტონაა.**

დასენაჟება დაიწყეს და ეს საქმე კარგად მიმდინარეობს გურჯაანის, სიღნაღის, ახმეტის, თელავის, ლაგოდეხის, ტყიბულის, ვანის, საგარეჯოს და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში. გურჯაანელებმა გეგმის ნახევარზე მეტი უკვე დასენაჟეს, ჩადებულია 16.403 ტონა; სიღნაღელებმა 45.000 ტონა უნდა დასენაჟონ, უკვე ჩადებულია 11.314 ტონა.

სოფლად ყველას და უწინარესად საკვებმომპოვებლებს კარგად მოეხსენებათ, რომ დროზე გათიბული ბალახისაგან მეტად ყუათიანი თივა და სენაჟი მზადდება. ეს უბრალო ჭეშმარიტება ძალიან კარგად იციან სასოფლო რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა. სასენაჟე მწვანე მასის აღებისა და ჩადების კარგი გამოცდილება აქვთ გურჯაანელ საკვებმომპოვებლებს. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ბალახს თავის დროზე და წესების დაცვით თიბავენ. რამდენიმე საათის შემდეგ კი მას მანქანები ტექნოლოგიურად ამუშავებენ (აქუცმაცებენ) და კარგად მოწესრიგებულ ორმოებში დებენ, გულდაგული ტეპნიან და ორმოებს კარგად ხურავენ. ამასთან დაქუცმაცებული მწვანე მასით ორმოების გავსების ვადებს ზუსტად იცავენ. ყოველივე ეს ხელს უწყობს იმას, რომ პირუტყვის საკვები მაღალყუათიანი იყოს.

როგორც აღვნიშნეთ, გაზაფხულის ბოლოს სასურველმა ამინდებმა ნათესი და ბუნებრივი ბალახები მოაღონიერა და მთიბავებს ისღა დარჩენოდათ, რომ მინდვრად მანქანები გაეტანათ, დაეწყოთ თიბვა, თივისა და სენაჟის დამზადება. რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოებს კარგა ხანია აქვთ სენაჟის ჩადების ტექნოლოგიის რეკომენდაციები, საზოგადოებრივ მეურნეობებშიც იციან, როგორ უნდა გაითიბოს სასენაჟე მწვანე მასა, როგორ უნდა დაქუცმაცდეს, როგორ უნდა ჩაიდოს ორმოში, იციან დატკეპნის წესები და ისიც, თუ რამდენ ხანს უნდა მოუნდნენ ორმოების გავსებას. მიუხედავად ამისა, ზოგან არ იცავენ სენაჟის ჩადების ტექნოლოგიურ წესებს და ამით ნებისით თუ უნებლიეთ თავიდანვე აფუჭებენ პირუტყვისათვის ამ მეტად საჭირო, ყუათიანი საკვების ხარისხს.

თეთრი წყაროს რაიონში წლევანდელი ვალდებულებით 28.000 ტონა სენაჟი უნდა დაამზადონ. ამ რაიონის დაბლობ ზონის სოფლების ასურეთისა და კოდის მეურნეობებში ამას წინათ დაიწყეს დასენაჟება. ეს საქმე შეამოწმეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა და აღმოჩნდა მთელი რიგი დარღვევები.

ასურეთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — დ. სულხანიშვილი) გეგმით 2.850 ტონა სენაჟი უნდა დამზადდეს. 280 ჰექტარზე უნდა აიღონ მწვანე მასა. მეურნეობაში აქვთ სასენაჟე ორმოები, საჭირო მანქანები, ტრანსპორტით რაიონის სოფლტექნიკის განყოფილება ეხმარება. ყოველივე აქვთ, მაგრამ სწორად არ იყენებენ მანქანებს, უხეშად არღვევენ დასენაჟების ტექნოლოგიას. მეურნეობას აქვს 7 სათიბელა, მაგრამ სასენაჟე მასას მარცვლის ასაღები კომბაინით თიბავენ. ეს კი ვერ უზრუნველყოფს ღვარეულებში მწვანე მასის თხელ ფენებად დაყრას. სწორედ ამიტომ სინესტის კონდიციას ვერ იცავენ. მწვანე მასის თავდაპირველი და საბოლოო სინესტის (50-55 პროცენტი) განსაზღვრისათვის არ იყენებენ ლაბორატორიულ და აწონის მეთოდებს და სასენაჟე ორმოში დებენ შეუსაბამო სინესტის მწვანე მასას. ამასთან, ბალახს თიბავენ ნორმაზე მაღლა, ამის გამო დიდია დანაკარგები. ღვარეულებიდან მწვანე მასას იღებენ „კიკ-1,4“ მარკის სათიბ-დამქუცმაცებლით, ხოლო ტექნოლოგიით გათვალისწინებული „კუფ-1,8“ მარკის მანქანები უმოქმედოდ აქვთ. ცნობილია ისიც, რომ „კიკ-1,4“ მარკის მანქანა ტექნოლოგიური წესის მიხედვით სასურველი ზომაზე (20-30 მილიმეტრი) ვერ აქუცმაცებს მწვანე მასას. როგორც აღმოჩნდა, ამ უწესივრობას ისიც დაემატა, რომ მანქანის დანები გაულესავი იყო და ამიტომ აქ სასენაჟე მასა 120-180 მილიმეტრზე ქუცმაცდებოდა (თუ ამას დაქუცმაცება ეთქმის).

წესების მიხედვით დაქუცმაცების შემდეგ მთავარი ყურადღება მწვანე მასის ორმოში დატკეპნას უნდა მიექცეს. ასურეთელები დასატკეპნად „დტ-75“-მარკის ტრაქტორს იყენებენ. ეს მანქანა გრძლად დაჭრილ მწვანე მასას წესიერად ვერ ტკეპნის. ამიტომ იყო, რომ ორმოში ჩაყრილი მწვანე მასა კარგად ვერ დატკეპნეს და სენაჟი ზომაზე მეტად ჩახურდა. აი სწორედ ეს უალებს სენაჟს ყუათიანობას. გარდა ამისა, უხეშად ირღვევა სასენაჟე ორმოს დახურვის ვადებიც. ორმო, რომლის სიღრმე 3,5 მეტრია, ტექნოლოგიურად 4 დღეში უნდა აივსოს და დაიხუროს. აქ კი მისი დახურვა 6 დღეს გაგრძელდა. ამასთან, შემოწმების დროს ორმო მხოლოდ სანახევროდ იყო სავსე. ეს მოხდა იმიტომ (თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, ორი წვიმიანი დღეც დაემთხვა), რომ აქ ტექნიკის გამოყენების ორგანიზაცია მოიკოქლეს. შემოწმების დროს კარგი ამინდი იყო, ტრაქტორისტები კი დღის 11 საათზე სამუშაოდ გასულები არ იყვნენ. სათანადოდ ვერ ამუშავებენ მწვანე მასის ასაღებ-საქუცმაცებელ მანქანებს.

ასურეთელებს სენაჟის აღების გეგმა-გრაფიკი არა აქვთ, არ გამოუყვიათ ამ საქმის პასუხისმგებელი პირი, არა აქვთ ჩამოყალიბებული საკვების ამღებთა რგოლი. მზად არ არის სასენაჟე ორმოები, შარშანდელი ნარჩენებისაგან მთლად არ არის გასუფთავებული, ადგილები ალაგ-ალაგ შესალესია, ზოგ ორმოში წყალია, არა აქვთ ღვარსაინი და წყალსაწრეტი არხები.

შემოწმებით დადგინდა, რომ ანალოგიური მდგომარეობაა იმავე თეთრი წყაროს რაიონის კოდის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — შ. მარგიანი). აქ სენაჟის წადება 21 მაისს დაიწყეს, 26 მაისისათვის ორმო სანახევროდაც კი არ იყო სავსე. ცხადია, [illegible] ორმოს [illegible] ჩაუბული სენაჟი დაკარგეს ყუათიანობას. ამ მეურნეობაშიც „კიკ-1,4“ მარკის მანქანას ამუშავებენ, მწვანე მასა გრძლად არის დაკუწული, კარგად ვერ იტკეპნება და ამიტომ სენაჟი ზომაზე მეტად იყო ჩახურებული. მეურნეობას აქვს „კუფ-1,8“ მარკის ორი სასენაჟე კომბაინი, მაგრამ ისინი უქმად დგას. კოდელებსაც არა აქვთ სენაჟის დამზადების გეგმა-გრაფიკი, არ შეუქმნიათ მექანიზებული რგოლები.

თეთრი წყაროს რაიონში სენაჟის დამზადება ივნისის პირველი დეკადის შემდეგ მასობრივად გაჩაღდება. ამ ნაკლოვანებებზე რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა პრინციპულად უნდა იმსჯელონ, დასახონ საქმიანი ღონისძიებები, რომ სენაჟის დამზადების ვალდებულება თავის დროზე შესრულდეს, რომ პირუტყვს უხვად მოუმარაგონ ყუათიანი საკვები.

გამოირკვა, რომ სენაჟის ჩადების ტექნოლოგიური წესები ირღვევა აგრეთვე ცხაკაიას და მთელი რიგი სხვა რაიონების ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში.

საკვებმომპოვებლებს უნდა შევახსენოთ, რომ სასენაჟე მწვანე მასის აღება და ჩადება ტექნოლოგიური წესების უმკაცრესი დაცვით უნდა ხდებოდეს, რათა სენაჟს შევუნარჩუნოთ ყუათიანობა. ყუათიანი საკვები კი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების უტყუარი წინაპირობაა.

სენაჟის დამზადების გეგმის შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ნათესი და ბუნებრივი ბალახის მთელი რეზერვები, მწვანე მასა უნდა მოითიბოს, დაქუცმაცდეს და ჩაიდოს ტექნოლოგიური წესების ზუსტი დაცვით. მინდერად არ უნდა დავტოვოთ არც ერთი კილოგრამი ბალახი — აი, რა არის საკვებმომპოვებელთა საღღეისო საზრუნავი.

საკვებმომპოვებლებს ისიც უნდა შევახსენოთ, რომ სასენაჟე ქედ აღებულ ფართობებში მეორე მოსავლისათვის დაუყოვნებლივ დათესონ სიმინდი. ეს პირუტყვის საკვების ბაზის განმტკიცების დიდი რეზერვია.



აშხაზეთის ასსრ დედაქალაქ სოხუმში დაიწყო ბეჭდვითი სახლის მშენებლობა. თორმეტსართულიან სარედაქციო-საგამომცემლო კორპუსში ვანლაგდება ყველა საოლქო გაზეთისა და ეროვნული რედაქციები. საოფაცხოვრებო კორპუსში იქნება კონფერენცდარბაზი, სასადილო და სხვ.

ბეჭდვის საამქრო საწარმოო კორპუსში განლაგდება. იგი აღჭურვება უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობით.

სურათზე: ასეთი იქნება სოხუმის ბეჭდვითი სახლი.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ცხაკაიას 200-ადგილიანმა რაიონულმა საავადმყოფომ ახალ, სამსართულიან შენობაში ახალმოსახლეობა იზეიმა. თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით არის აღჭურვილი ქირურგიის, თერაპიის, კარდიოლოგიის, ნევროლოგიის და სხვა განყოფილებები.

ახალ საავადმყოფოს აქვს სამი ოპერაციო დარბაზი და რენტგენოლოგიური კაბინეტი.

ექიმებს დიდ დახმარებას უწევენ ექსპრესკარდიოლოგიური და დიაგნოსტიკური ლაბორატორიები.

სურათზე: ცხაკაიას რაიონული საავადმყოფოს ახალი შენობა.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მკითხველის წერილის კვალდაკვალ

ჭიკაანური პრემია

ალბათ ბევრს ახსოვს ა. გელმანის მთელ კავშირში გახმაურებული პიესის „პრემიის“ შინაარსი. მშენებელთა ერთმა ბრიგადამ უარი თქვა პრემიის მიღებაზე, რადგან ეს არ დაუმსახურებიათ. ასე იქცევიან საბჭოთა ადამიანები, რადგან მათ კარგად იციან: „რაც არ გერგება, არ შეგერგებაო“.

„პრემიის“ გმირები თითქმის ორი საათის მანძილზე უმტკიცებდნენ სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელებს, თუ რატომ არ ერგებოდათ პრემია. ყვარლის რაიონის ჭიკაანის კოლმეურნეობის წევრთა ერთი ჯგუფი კი წელწადზე მეტია დავობს და ვერავინ ვერ დაუმტკიცა, რატომ არ ერგებათ პრემია, რომელსაც კოლმეურნეობის გამგეობა შეჰპირდა. შეჰპირდა კი არა, თავის ერთ-ერთ სხდომაზე დაკანონა. კოლმეურნეებიც ენდნენ გამგეობის დადგენილებას. ანკი როგორ არ ენდობოდნენ თავიანთ რჩეულ ხელმძღვანელებს!

მაგრამ მოხდა გაუგონარი ამბავი — წლის ბოლოს ჭიკაანელ ხელმძღვანელთა დადგენილების მიხედვით პრემია ვერც ერთმა კოლმეურნემ ვერ მიიღო. ამით განაწყენებულ კოლმეურნეთა ერთ ჯგუფს სამუშაოზე გული აუცრუვდა და მთელი რიგი გაუგებრობანი გამოიწვია.

სიმართლის დასადგენად მათ „კომუნისტის“ რედაქციას მიმართეს. მათი თხოვნით ჭიკაანში ჩავედით. ჩვენთან ერთად იყო პარტიის ყვარლის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე ლ. ელოშვილი, ხოლო მეგზურობას გვიწევდა და საქმის ვითარებას გვაცნობდა კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ბ. ჭრელაშვილი. ვათვალიერებთ მოუელელ ვენახებს. აგრონომს გულით უნდა როგორმე მოგვაწონოს ზვრები: — ნახეთ რა კარგად ასხიაო. ვაზებს მართლაც კარგად მოუსხამთ, მაგრამ მწკრივთაშორისებში სარეველებია მოძალებული. ჩვენს შეკითხვაზე სიტყვაუნწობს. ან კი რა აქვს სათქმელი! კოლმეურნეობა სამარცხვინო მდგომარეობაშია, ალბათ ფიქრობს, დუმილი ოქროაო, მაგრამ — განა ყოველთვის?

კოლმეურნეობის მოწინავე პირველი ბრიგადის ნაკვეთებში ვართ. ვენახებში შორიდანვე შენიშნეთ თავსაფრიანი ქალები. მივუახლოვდით.

ქალები თითქოს ვერც გვაჩნევენ, გაფაციცებით მუშაობენ, ვაზებს ელოლიავებიან, ნამხრევს და ზედმეტ ფოთლებს აცლიან. ჩვენს მისალმებაზე შრომაში გართულმა ქალებმა თავი ოდნავ დაგვიკრეს და საქმე განაგრძეს. ამკარად ეტყობოდათ, განაწყენებული იყვნენ.

ასეთმა შეხვედრამ გაგვაოცა, უხერხულობა რომ გაგვეფანტა, უნებურად ჩვენც ვაზებს წვავპოტინეთ.

— კარგი ბლომად გამოუტანია მტევნები ვაზებს, — დავარღვიეთ სიჩუმე.

— ჰო, ბლომად გამოიტანა, მაგრამ ზოგ-ზოგებს დაავიწყდათ, რომ ახლა ვაზებს მოვლა უნდა, მომავლელი კი არსად ჩანს! სულ ერთი და იგივენი ვმუშაობთ კოლმეურნეობის მინდვრებსა და ვენახებში, ჩვენ კი ვეღარ ავუდგამოუმუშავებია. როგორ გამოიმუშავებდა მინიმუმს, როცა ვაკა სავალდებულო სამხედრო სამსახურშია. მე და ჩემმა მეუღლემ არაფერი არ დავაკლეთ ზვარს, ვაჟას წილსაც საგულდაგულოდ ვუვლიდით, არმიელი შვილის ვენახის მოვლაზე უარს როგორ ვიტყოდით. გარდა ამისა, კაცდღეებიც საკმაოდ გვაქვს, მაგრამ არ მოგვცეს პრემია ძაშინ, როდესაც რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით გვეკუთვნის.

ანალოგიური მაგალითები დასასახელეს სხვებმაც.

მართლაც, კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ, რომელსაც 196 რწმუნებულის გარდა, პარტიის ყვარლის რაიკომის წარმომადგენელი ჯ. ხარებავაც ესწრებოდა, განიხილა შრომის დამატებითი ანაზღაურების რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები ეფუძნებოდა „კოლმეურნეობის მინდვრებსა და ვენახებში, ჩვენ კი ვეღარ ავუდგამოუმუშავებია. ...ეს ეფუძნებოდა „ეკონომიკურ ანალიზს“ ...

სამსახურებრივი მივლინების ანგარიში

2. რით ამაყობს ქალაქი

** პატარა**, ორმოცდაექვს ათასიან ქალაქ მიულჰაუზენში არის ზედა ტრიკოტაჟის ფაბრიკა. მსოფლიოს ორმოცდაათი ქვეყნის მოდის მიმდევარნი ნადირობენ „მიულანის“ ფაბრიკის შავ-ოქროსფერ იარლიყიან პულოვერებსა და სვიტერებზე, ჯაბებსა და კოსტიუმებზე. „მიულანა“ უნარჩენებოდ მუშაობს. ნარჩენებს აძლევენ საშეფო სკოლას, სადაც ბავშვები ფაბრიკის ოსტატთა ხელმძღვანელობით ქვეყანაში საუკეთესო პლედებსა და საბნებს ამზადებენ.

იმავე პატარა, 775 წლის წინათ დაარსებულ ქალაქ მიულჰაუზენში არის სამკოშკიანი გოთიკური ტაძარი მარიენკირხე (XIV საუკუნე). მისი ამბორნიდან თვიისუფლების დაუცხრომელი ქადაგი თომას მიუნცერი ანადგურებდა ტიეროინგიელ ფეოდალებს, და მრავლს გულში უნერგავდა მრისხანებასა და გამბედაობას, რის შედეგადაც შემდეგ დიდი გლეხთა ომის ხანძარი გაღვივდა.

მიულჰაუზენში არის მეორე ძველი ტაძარიც, რომელიც ცნობილია თავისი ორღანით — მის კლავიშებს შეხებია იოჰან სებასტიან ბახის თითები, მის რესტავრაციაზე მუშაობდა გენიალური ალბერტ შვაიცერი.

პატარა ქალაქი მიულჰაუზენი — დიდ მოაზროვნეთა და მეამბოხეთა, წარსულის კმირთა ქალაქი სტუმარს ისტორიის ამბორჩრებენ ზოვში ნაოსნობის ფიზ შესაძლებლობებს აძლევს. მაგრამ გასაოცარია: მასპინძლები არ ჩქარობენ შემოგვთავაზონ ძველებური ფრეგატები და ტლები, არამედ დაბეჯითებით გვეპატიჟებიან თანამედროვე „იარუსში“ და მივყვებართ „მიულანაში“, ფაბრიკაში, რომელიც ევრმანის დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც ამგვარი საწარმოების მართვის პროგრამული მეთოდების შესწავლის ცენტრად არის აღიარებული. ჩვენ გვიჩვენებენ საამქრებსა და დიდმწარმოებლურ ზალებს, რომლებმაც გამოდენის ინგლისური მანქანები, გვიჩვენებენ სასურსათო მაღაზიებსა და ქალის სპორტიმაბერეობს (ფაბრიკაში მომუშავეთა 83 პროცენტს ქალები შეადგენენ), ოთხ სბავშვო ბაღს, დასასვენებელ სახლს, ტანსაცმლის მხატვრების ახალგაზრდულ კლუბ „ოუგენდმოდის“, სასადილოებს, სადაც საშეფო სკოლის ბავშვები თვიანთ ფაბრიკისა და სკოლის მასწავლებლებთან ერთად ერთ სუფრასთან სადილობენ.

თანამედროვეობა, რომლის წარმომადგენლადაც გვევლინება ახალგაზრდა სიმპათიური კაცი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის რაიონული ორგანიზაციის კომიტეტის ინსტრუქტორი ვერნერი, ჯიუტად არ გვაკარებს სიძველის ძეგლებს, სულის მოთქმას არ გვაცალს, დავყაჟავრთ მიკროელექტრონიკის, სამუხრუჭე სისტემების შლანგების, სამკერვალო და ფეხსაცმლის მრეწველობასათვის გათვალისწინებული დაზგების ქარხნებში. ჩვენ გულით გვწყურიოდა მოგვეარა ამ ქალაქის ბედნიერ დახლართული ანამართ-დაომართიანი ქუჩები, ჩაგვესუნთქა შუა საუკუნეების მძაფრი და მწარე ჰაერი, მაგრამ იგი გიგანტური დოზით გვაწვდის ქარხნის საამქროებისა და ლაბორატორიების კონდიცირებულ ჰაერსა და ფსიქოლოგიურ მიკროკლიმატს.

ვერნერს სიამაყით უბრწყინავს გაბადრული სახე: პატარა მიულჰაუზენი დიდი ინდუსტრიაა. ნუთუ მარტო ეს ფაქტია მისი სიამაყის წყარო? ნუთუ ჩვენ პროვინციული ამპარტავნობისა და სნობიზმის ბანალურ გამოვლინებას გადავაწყდით, რომლებიც კაცს აიძულებს ფეხის წვერებზე შედგეს, რაც შეიძლება გაიჭიმოს, რათა უფრო მაღლად გვიჩვენოს, ვიდრე სინამდვილეშია, და დაგვიმტკიცოს: ჩვენ სხვებზე უარესი არა ვართო. თუმცა რა პროვინციალიზმზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ხედავ ამ დილის მდელოსავით სუფთა მოასფალტებულ ქუჩებს, ქალაქის სასტუმროს, რომელიც ტოლს არ უღებს ბერლინის ინტერიერებს, როცა ვხედავ ბულბულივით მსუბუქ მიულანას“ ნაწარმს? ჩვენი „იარუსის“ მძღოლი პნევმოდანადგარიან მშვენიერ სავარძელში გამოჭიმულა — ასეთ სავარძლებსაც მიულჰაუზენში აკეთებენ.

ეს პატარა ქალაქი აქტიურად მონაწილეობს წარმოების სოციალისტურ ინტეგრაციაში, მის პროდუქციას ითვალისწინებენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების შტაბში...

ყოველივე ეს შესანიშნავია, და მაინც ჩვენი გიდის სიამაყის წყარო გაუგებარია ჩემთვის. ვგრძნობ, ყველფერი არც ისე მარტივად არის, როგორც გგონია, რომ ამ სიამაყის საფუძველში არის რაღაც სხვა რამ, უფრო ღრმა და სერიოზული.

მაგრამ რა?

პასუხი საღამომ მოგვცა. მწუხრისას ძველი საბლეების უბანში მიგვიყვანეს და გვიჩვენეს მანსარდები და სხვენის ოთახები — ყოფილი მანსარდები და ყოფილი სხვენის ოთახები, რადგან ძნელია ამ სიტყვების ხმარება, როცა თვალწინ წარმოგიდგება ნათელი, ახლად შეღებილი, ნიკელით, სხვადასხვა ფერის კაფელით მოპირკეთებული ბინები. ამ ბინებს ქალაქის ანძეკვს ახლად დაქორწინებულთა, რომლებიც, როგორც იტყვიან, ოღონდ ერთად იყვნენ, და თუნდაც ცულის ტარზე დაიტევიან. მაგრამ რომელ ცულის ტარზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აქ ყველფერი გაკეთებულია სამშენებლო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით, მაქსიმალურად არის აღჭურვილი თანამედროვე სათავსებით, დეკორირებულია, როგორც ამას მოითხოვს საკმაოვრედ ინტერიერის დიზაინის კანონები?

— ჩვენ ახალი სული შთავბერეთ სიძველეს. ჩვენ ძველი ახლად ვაქციეთ. ჩვენ უზარმაზარი ეკონომიკური სარგებელი და უზარმაზარი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ეფექტი მივიღეთ. ყოველივე ამაბ ერთად კი რწმენა და ოპტიმიზმი მოგვანიჭა და ფართო სოციალური პერსპექტივა გადაუშალა ქალაქს.

აი რა არის მიულჰაუზენელთა სიამაყის წყარო: არა მანსარდები და სხვენები, როგორც ასეთი, არამედ მოუსვენარი აზრით შობილი იდეა. იმის შეგნება, რომ ეს აზრი უმაღლესი სტანდარტების დონეზე მუშაობს, რომ ქალაქი არა მარტო ბევრს სარგებლობს სახელმწიფოს ხელგაშლილობით, არამედ ასევე ხელგაშლილთ ბევრ რამეს აძლევს მას, მთელი ქვეყნის კეთილშობილად აქცევს თავის ინტიტელექტსა და თავის ინიციატივას. ძიებამ, თამამმა აზროვნებამ, სოციალისტურმა საზრიანობამ პატარა ქალაქი დიდად აქცია.

მცირეოდენი ცნობა: **მიულჰაუზენის პირველი მანსარდა გადააკეთეს და ახლად დაქორწინებულთ ჩაუბარეს 1971 წელს. მას შემდეგ ეს ინიციატივა შორს გასცდა ქალაქის ფარგლებს და საერთო-სახალხო მოძრაობად იქცა, რომელსაც „ახალგაზრდობის ბედნიერება“ უწოდეს.**

მეორე დილას ვერნერმა გვითხრა:

— დღევანდელ პროგრამაშია ისტორია. ჩვენ დავთვალიერებთ ქალაქის შუა საუკუნეების გალავანს — მისი მოცვა ყოველწელიერად 140 ათასი მარკა გვიჯდება. ვნახავთ ყოფილ კორნმარქტკირხეს — ახლა იქ გლეხთა ომის ცენტრალური მუზეუმია და მის შექმნას ქალაქმა ორი მილიონი მარკა მოახმარა.

და მის სახეზე კვლავ დიდი სიამაყე გამოიხატა. მემკვიდრისა და ბატონ-პატრონის სიამაყე. მას წარსულში მივყავდით თანამედროვეობიდან და მხოლოდ მას, ამ თანამედროვეობას შეეძლო დაედასტურებინა მისი უფლება ყოფილიყო თომას მიუნცერის, იოჰან სებასტიან ბახის, ალბერტ შვაიცერისა და მიულჰაუზენის ბევრი სხვა სახელოვანი თუ უსახელო მეამბოხისა და მოაზროვნის, მებრძოლისა და ჭმირის მემკვიდრე. შენ მემკვიდრე არ ხარ, მეუბნებოდა მისი ამაყი ღიმილი, თუ მხოლოდ სახელსა და წოდებას დაეპატრონები. მემკვიდრეობა ძალზე ძნელია, თუ დაეპატრონები არა სახელსა და წოდებას, არამედ დაუდეგარ აზრს, თამამ იდეასა და მოვალეობას იყო მისი მატარებელი. მაგრამ ჰეშმარიტი ადამიანი, თავისი ქალაქისა და თავისი სოციალისტური რესპუბლიკის პატრიოტი სხვაგვარი ვერც იქნება. თორემ გადაიქცევი მიგდებულ ქვად, მცონარა ყბედად, რომელიც საკუთარ და სხვის შეგნებას ბანგავს მაღალფარდოვანი ლაყბობით დიდებულ წინაპართა ანდერძისადმი ერთგულების შესახებ.

მინდა გავაცნოთ ადნის საადგილმამულო ერთ-ერთი მუშაკის, ჩემი კოლეგის სიტყვები, რომელმაც მიულჰაუზენის შესახებ დაწერა: **„ჩრდილოეთ ტიურინგიის ამ პატარა ქალაქში მჭიდროდ არის გადახლართული სოციალისტური სინამდვილე და მკაფიოდ გამოხატული ტრადიციული თვითშეგნება. „შენც მიიღე მონაწილეობა“ — ამ მოძრაობის ფარგლებში მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევები და მასობრივი ენთუზიაზმი, რომელთაც სტიმულს აძლევს ძველი ძეგლებისა და ხალხური ზნეჩვეულებების შენარჩუნების იდეა...“.**

სტუმრებს, ჩვეულებრივ, უჩვენებენ ყველაზე საუკეთესოს, და ჩვენ, რაღა თქმა უნდა, გამონაკლისი არ გახლდით ამ წესიდან. მაგრამ, თურმე, მიულჰაუზენიც, ეს მრავალმხრივ პატარა საკალაონო ქალაქიც, არ ყოფილა გამონაკლისი. მასთან მორთულ-მოკაზმული და ადამიანებით დამშვენებული დიდი და პატარა ქალაქები, დიდი და პატარა სოფლები მოჩანდა ჩვენი ავტობუსის ფანჯრებში, თვალი და გული ფფრიქლავდა მათს ქუჩებს, როგორც შუა საუკუნეების ისტორიის, ახალი და უახლესი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს. საგზაო ფარებზე წარწერილი სახელწოდებანი აღიბეჭდებოდა მეხსიერებაში, ანდა აღვიძებდა დიდი ხნის (ოდნავ, ან აღიზიანებდა მარადიულ მოუშუშებელ ჭრილობებს. ფტერსბერგის მთასთან გული შემეკუმშა ბუხენვალდის „ბათის გასხენებამ; ქალაქ ნორდჰაუზენის დანახვაზე თვალწინ წარმომიდგა საკონცენტრაციო ბანაკის „დორას“ შტოლნები, სადაც ათასობით ანტიფაშისტი დაიღუპა, რათა „ფაუს“ რაკეტებს არ წაელიკათ მსოფლიო ცივილიზაცია. სამუზეუმო-ტურისტული ვიმარი „ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქის ხმებით, გოეთეს პოემებით ამეტყველდა; გოთა წარმოგვიდგა მარქსის „გოთას პროგრამის კრიტიკის“ სტუდენტური კონსპექტით. ისტორიას უზვად აურიგია აქ ნაირ-ნაირი ფერები. ბრიწყოს ლუთერი და ჟანდერ ლონნი, ლესინგი და ჰეგელი, შილერი და გოეთე, ლუქსემბურგი და ტელმანი თითქოს ჩამოდიოდნენ კვარცხლბეკებიდან, რათა დაგვხმარებოდნენ ისტორიაში ჩაძირული ჭეშმარიტების მიგნებაში. საუკეთოო ჩქაროსნული ავტოსტრადები წარსულის უმაგრეს ექსტრაქტს გვასმევდნენ, მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა გადაეფარებოდნენ ამ დამთრობელ ფიალას, წინა პლანზე ძალუმად წამოიწევდა ამ მიწა-წყლის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს სინამდვილე, რომელიც თითქოს ადასტურებდა, რომ ამ ქალაქებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ იამაყონ თავიანთი თანამედროვეობით. თანამედროვეობით, რომელიც ნიშნავს ადამიანისა და ხალხის შერწყმას ეპოქასთან, მოძრაობას აზრისას, რომელიც დღენიადაგ ჯიუტად ესწრაფვის საუკუნის მიღწევათა მწვერვალებს.

პატარა საკურორტო ქალაქ ბად-ბლანკენბურგის (ათასათასი მცხოვრები, ოცდაათი ათასი დამსვენებელი) ობერბურგმისტრმა ფრანც სენკოვსკიმ მოგვიყვანა რატუშის ძველ შენობასთან და გვიჩვენა მემორიალური დფაა ფრიდრიხ ფრებელის პატივსაცემად, რომელმაც გასული საუკუნეში აქ მსოფლიოში პირველი საბავშვო ბაგა-ბაღი დააარსა. მაგრამ ფრანც სენკოვსკიმ ისტორია მხოლოდ მას შემდეგ წარმოგვიდგინა, როცა გვიჩვენა თანამედროვეობა: საუცხოოდ ნაგები და აღჭურვილი საბავშვო ბაღები და ბაგები, რომლებმაც საბოლოოდ გადაჭრეს მომუშავე დედათა პრობლემა. მას არც კი გაუხედავს ევროპაში უდიდესი ციხე-დარბაზის „კომპლექსის — გრეფენშტაინის (IX საუკუნე) ციხე-დარბაზის ბასტიონებითა და კოშკურებით დამშვენებული მწვანე მთისაკენ, სულ ენახე ეკირა თანამედროვე ავტოსადგომი, თანამედროვე საქალაქო დარბაზი, თანამედროვე ტრანსპორტისაგან თავისუფალი, ქვეითთა ზონა, რომლებიც ქალაქის სამი საწარმოს დახმარებით აშენდა. ქედმაღალი და გულზვიადი მთავრის ფონ შვარკბურგის ყოფილი სამფლობელოები მხოლოდ მაშინ მოიხსენია, როცა შეეხო რეზინ-ტექნიკური ნაწარმის, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკისა და სატელევიზიო ანტენების ქარხნების ინიციატივას, რომლებმაც ქალაქს კონტრაქტი დაუდეს ციხე-დარბაზის რესტავრაციის შესახებ. ახლა იქ სრული წესრიგია: ქარხნის დასასვენებელი ზონა და დამატებითი წყარო შემოსავლისა, რომელსაც მთავრობა და დამსვენებელთა ექსკურსიების შედეგად იღებენ.

ქალაქს ჩამოუდის კამკამა სწრაფი მდინარე შვარცა, რომლის სახელი ეწოდა ამ მადლიან ამწვანებულ ხეობას. შვარცა ქალაქის ფარგლებშიც კი სავსეა ალმახით, მაგრამ ქალაქის მერს სათევზაოდ არ მივუწვევართ. მან მიგვიყვანა ლითონის ბადის ორ კონუსთან, რომლებიც სავსე იყო კომპოსტით, ბოდიშს ვიხდი, ჩვეულებრივი ნაკელით, და აგვიხსნა: „ჩვენ კომპოსტში ვრგავთ ყვავილის ჩითილებს და ნაგებობა უზარმაზარ, ყვავილებით დაფარულ კონუსად იქცევა ხოლმე. მარტივი და გენიალური, არა? საავტორო უფლება ბადბლანკენბურგს ეკუთვნის. ამ ჩვენს ინიციატივას მთელ ქვეყანას ვაცნობთ...“

აი რით ამაყობს ფრანც სენკოვსკი, ყოფილი ზეინკალი, ამჟამად ბად-ბლანკენბურგის ობერბურგმისტრი. ამაყობს და არც მალავს სიამაყეს, მაგრამ არც თავის წუხლის გვიმალავს. ოთხასი წყვილი ახალდაქორწინებული ელის ბინას, ჯერჯერობით კი მხოლოდ ორმოცდაორი მანსარდა ელოდაკეთეს. ასი კაცისათვის ძალა უნდა მოიკრიბონ...

მაშ ასე, ქალაქის მდინარე სავსეა ალმახით და ქვაფენილზე ერთ ნაკუწ ქაღალდს, ერთ სიგარეტის ნამწვსაც კი ვერ ნახავთ.

— თქვენ გაქვთ სანიტარიული წმენდის სამსახური?

— გვაქვს, მაგრამ პატარა. თუმცა ჩვენთან, ისევე როგორც ევრმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, მოქმედებს ეგრეთ წოდებული მუნიციპალური წესი: ყოველი მოქალაქე მოვალეა დაალაგოს თავისი სახლის წინ ქუჩის მონაკვეთი, ხოლო რადგან ყველა აკეთებს ამას, წესის დარღვევის მსურველიც არ არის...

ქალაქი სუფთა იყო, მისი მერი კი არ ამაყობდა ამით, რამეთუ ეს ნორმად და წესად იქცა.

აქვრის ორუბელში გავხვიეთ ციხე-დარბაზი, მდინარე და ქუჩები ციცა შუქს ასხივებდნენ.

...ევროპადეე იყო, სიჩუმე სუფევდა უკაცრიელ ქალაქში, როგორც სახელოსნო, რომელშიც საცაა შემოიღებს კარს შთაგონებული მხატვარი და შეუდგება საქმეს.

თ. მამალაძე,
საქინფორმის კორ. — სპეციალურად „კომუნისტისათვის“.

ელჩის ვიზიტი

— **დიდი** კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ განუხრელად ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირთან ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით განმსჭვალული მეგობრული ურთიერთობა, — თქვა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში მირზა რაშიდ აჰმადმა, რომელიც 29 მაისს ჩამოვიდა თბილისში.

30 მაისს ელჩი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ე. ჩერქეზიას.

ჩვენი ხალხი, ხაზგასმით აღნიშნა ელჩმა, დიდად აფასებს იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ეკონომიკურ მხარდაჭერასა და დახმარებას, რომელსაც ბანგლადეშს უწევენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. გამოვთქვამთ რწმენას, რომ ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა კვლავაც გაღრმავდება და გაფართოვდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

ო. ე. ჩერქეზიამ აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების ვიზიტებს ურთიერთობის, თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესებისათვის. ასეთ კონტაქტებს, თქვა მან, დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცებაში. საბჭოთა ადამიანები გულწრფელად უსურვებენ ბანგლადეშის ხალხს წარმატებებს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

საუბარსა დაესწრნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო გაყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე.

იმავე დღეს მირზა რაშიდ აჰმადი ეცნობოდა თბილისს.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სახელით ბანგლადეშის ელჩს სადილი გაუმართეს. (საქინფორმი).

უსაფუძვლო მითი

ბონი, 31 მაისი. (საკდესი). დასავლეთგერმანელ კომუნისტთა კაზეთში „უნზერე �ტმა“ გამოაქვეყნა სტატია „საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არსი და მიზნები“, რომელშიც აშკარავებს ბერძენუაზიული პროპაგანდის ფლიდურ მტკიცებებს სსრ კავშირის მხრივ „ომისმიერი საფრთხის“ შესახებ.

„სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრული ქვეყნის თავდაცვის ამოცანები, — წერს გაზეთი, — შეესაბამება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის უმაღლეს პრინციპებს, მის მისწრაფებას უზრუნველყოს მშვიდობა. სსრ კავშირის კონსტიტუციაში მკაფიოდ აისახა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. საბჭოთა კავშირი არ იძლევა იმის არავითარ საფუძველს, რომ ვინმემ ეჭვქვეშ დააყენოს მისი სამშვიდობო პოლიტიკა“.

დიდი ოქტომბრის შემდეგ დამკვიდრებული სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, რომლის წყალობითაც აღიკვეთა ერთი ადამიანის ექსპლოატაცია მეორის მიერ, კანონზომიერად განსაზღვრავს სსრ კავშირის მისწრაფებას მშვიდობისადმი. ნათქვამია სტატიაში.



მსოფლიოს ბავშვები ითხოვენ

ინგლისელი მუშების ეს შვილები ადრევე ჩაებნენ თავიანთი მამებისა და დედების შრომის უფლებებისათვის ბრძოლაში.

თანატოლებთან უზრუნველი თამაშის ნაცვლად ისინი მშობლებთან ერთად დემონსტრაციაზე გამოსულან, რათა მათთვის სამუშაო მოითხოვონ.

„მიეცით სამუშაო ჩვენს მამებს!“ — წარწერილია ნორჩ ინგლისელთა ლოზუნგებზე (სურათზე ზემოთ, მარცხნივ).

ზენინის სახალხო რესპუბლიკა. სავალდებულო დაწყებითი განათლების შემოღება სოციალისტური ორიენტაციის კურსით განვითარებაზე მეტყველებს.

სურათზე მარჯვნივ: გაკეთილი ქალაქ ჯუგუს ერთ-ერთ სკოლაში.

ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ისრაელი ადამიანის ელემენტარულ უფლებებს არღვევს. საოკუპაციო ხელისუფლება თვითნებობს და უკანონობას სჩადის მკვიდრი არაბული მოსახლეობის მიმართ, რომელსაც იძულებით დევნიან. შემდეგ კი ამ მიწებს „სახელმწიფო კუთვნილებად“ აცხადებენ და ახალ ისრაულ დასახლებებს აშენებენ.

სურათზე — ქვემოთ: სამკვიდრო მიწებიდან განდევნილი პალესტინელთა ბავშვები, რომლებიც ყველაზე მეტად იჩაგრებიან.

საკდესის ფოტოქრონიკა.

დროით ნაცადი მეგობრობა

ავღანელმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა ღირსშესანიშნავი თარიღი: 60 წლის წინათ, 1919 წლის 27 მაისს საბჭოთა რუსეთმა და ავღანეთმა, რომელმაც გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლის შედეგად, დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა.

საბჭოეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ცნო ახალგაზრდა სახელმწიფო, რაც მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. მას შემდეგ ექვსი ათეული წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის სახელმწიფო ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად ედო თანასწორუფლებიანობის, მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილმეზობლობის, თანამშრომლობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები წარმატებით ვითარდებოდა.

დროით ნაცადი ამ მეგობრობის შედეგები სახეზეა. თითოეული ავღანელი ხედავს და გრძნობს მათ. საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით ავღანეთში აშენდა და შენდება 120-ზე მეტი სახალხო-სამეურნეო ობიექტი, მათ შორის საავტომობილო გზები, სამრეწველო საწარმოები, საირიგაციო ნაგებობანი. აღსანიშნავია ქაბულის სახლთსაშენებელი კომბინატი, მაზარი-შერიფის აზოტიანი სასუქების ქარხანა, ნაგლუს ჰიდროელექტროსადგური. საბჭოთა კავშირი ავღანეთს დაეხმარა მრეწველობის ახალი დარგის — გაზის მრეწველობის შექმნაში.

საერთაშორისო ასპარეზზე ავღანეთი ცნობილია ისეთ ქვეყანად, რომელიც იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის. მისი პოზიციური ნეიტრალიტეტის, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას ფართოდ უჭერენ მხარს სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები. იგი გახდა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის განმტკიცების ხელშეწყობი ფაქტორი. ორივე ქვეყანას ხომ საერთო მიზნები აქვთ მშვიდობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა მხარდაჭერისათვის, კოლონიალიზმის, აპარტეიდის, იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ორი ქვეყნის თვისებრივად ახალი ურთიერთობა განმტკიცებულია სსრ კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის 1978 წლის 5 დეკემბერს მოსკოვში დადებული მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით. ავღანეთის ხელმძღვანელები, რომლებიც ხაზს უსვამენ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დოკუმენტს, ამბობენ, რომ ახლა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობა გახდა არა მარტო სახელმწიფოთა არამედ ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი მომენტია მუხლები, რომლებშიც ნათქვამია რომ სსრ კავშირი და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლებიც მოქმედებენ ტრადიციული მეგობრობისა და კეთილმეზობლობის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებით ერთმანეთს გაუწევენ კონსულტაციას და ორივე მხარის თანხმობით განახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს ორი ქვეყნის უშიშროების, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ისინი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ ხალხთა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავების, მსოფლიოს ყველა რაიონში, მათ შორის აზიაში, მისი გავრცელებისათვის.

რ. მუსინი,
საკდესის კორ.

ქაბული.

დიდი ინტერესი

ლონდონი, 30 მაისი. (საკდესი). ლონდონის უდიდეს საგამოფენო დარბაზში „ერლს ჯორთში“ დიდი წარმატებით მიმდინარეობს სსრ კავშირის ეროვნული გამოფენა. დღეს იგი დაათვალიერა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა. პრემიერის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია „სტალინგრადის ხმალმა“ — მეფე გიორგი მე-6-ის საჩუქარმა ვოლგისპირა ქალაქის ვაჟკაცი დამცველებისადმი, მოსკოვის პანორამამ და მთელი რიგი საბჭოთა ქალაქების მაკეტებმა, კოსმონავტიკის პავილიონმა, აგრეთვე საქართველოსა და ბელორუსიის პავილიონებმა. დამთვალიერებელთა წიგნში მ. ტეტჩერმა დატოვა ჩანაწერი, სადაც მადლობას გამოთქვამს იმ დიდი კმაყოფილებისათვის, რომელიც მას გამოფენის ნახვამ მიანიჭა.

ეს ექსპოზიცია, თქვა მან კორესპონდენტებთან საუბარში, ფართო წარმოდგენას გვიქმნის საბჭოთა ხალხის ცხოვრების შესახებ, და ამიტომაც ჯერ არის შემთხვევითი, რომ ინგლისელები ასეთ ინტერესს იჩენენ ექსპოზიციისადმი.

ირანის ამბები

თეირანი, 31 მაისი. (საკდესი). ირანის ეროვნული ტელევიზიით გამოვიდა ირანის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი მ. ბაზარგანი, რომელიც შეეხო ქვეყნის საშინაო-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების საკითხებს. მან თქვა, რომ რესპუბლიკა ახლა სიძნელეებს განიცდის იმ მრავალი ორგანიზაციისა და პოლიტიკური დაჯგუფების საქმიანობის გამო, რომელებსაც ჯეროვან კონტროლს არ უწევენ ცენტრალური ხელისუფალნი, და მოუწოდა მათ კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ მთავრობასთან, ეს, ხაზი გაუსვა მ. ბაზარგანმა, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ვითარების გაჯანსაღებას და განამტკიცებს მის ცენტრალურ ხელისუფლებას.

ქვეყანაში გრძელდება შაჰის რეჟიმის იმ ყოფილი დამჭაშების სიკვდილით დასჯა, რომლებმაც დანაშაულობანი ჩაიდინეს ხალხის წინააღმდეგ, როგორც რადიოსადგური „ირანის ისლამური რესპუბლიკის ხმა“ იუწყება, თეირანში სიკვდილით დასჯეს ხუთი სამხედრო პირი, მათ შორის ორი ოფიცერი, რომლებიც გასული წლის დეკემბერში მონაწილეობას იღებდნენ თეირანში გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტაში.

ვაშინგტონი, (საკდესი). თეირანის რევოლუციურმა ტრიბუნალმა ბრალად დასდო ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, რომ იგი აწყობდა ახალი რეჟიმის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეთა მკვლელობებს. ექსტრემისტული დაჯგუფება „ფორკანი“, რომელმაც თვითონ იკისრა ამ მკვლელობებისათვის პასუხისმგებლობა, ნათქვამია ირანის პრესის მიერ გამოქვეყნებულ ტრიბუნალის მიმართვაში ერისადმი, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ შექმნა. მას განსაკუთრებული როლი ეთმობოდა ქვეყნის დემოკრატიული ძალების ფიზიკურ მოსპობასა და რევოლუციური მოძრაობის ჩახშობაში.

კონტრრევოლუციას, ნათქვამია წერილში, არ ძალუძს ქვეყანაში შექმნას ტერორისა და ძალადობის ვითარება და დამუხრუჭოს ირანის რევოლუციის განვითარება.

პოლიციისა და სამხედრო სარდლობის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აიათოლა ხომეინის განკარგულებით განხორციელდა ღონისძიებანი ქვეყანაში უშიშროების უზრუნველსაყოფად.

პარიონეტები და მათი ბატონები

ლუსაკა, 31 მაისი. (საკდესი). სოლსბერში მორიგი პოლიტიკური ინსცენირება მოაწყვეს, კერძოდ, როდეზიის „პრემიერ-მინისტრის“ ფიცი დაადებინეს ადგილობრივი პლანტატორთა და მრეწველთა აგენტს ა. მუზორევას, რომელსაც დაეკალა მარიონეტული „მთავრობის“ შედგენა.

ამით დამთავრდა სოლსბერის ხელისუფალთა მიერ როდეზიაში „შინაური მოწესრიგების“ მიზნით გათამაშებული ფარსის მორიგი აქტი. როგორც ცნობილია, ამ „მოწესრიგების“ მიზანია გაამარადოსის ქვეყანაში თეთრკანიანი კოლონისტების ბატონობა და დასავლეთის მონოპოლიათა მოძალება აფრიკელი უმრავლესობის მმართველობის შირმით.

პარასკევს ღამით მუზორევას მიერ შედგენილი „მთავრობა“ თავის მოვალეობათა შესრულებას შეუდგება. იმავდროულად ძალაში შევა რასისტების მიერ თავსმოხვეული „ზიმბაბვე-როდეზიის“ სახელმწიფოს კონსტიტუცია. როგორც ინგლისის გაზეთი „გარდიანი“ აღიარებს, ეს კონსტიტუცია ტოვებს თეთრკანიანი უმცირესობის ხელისუფლებას. იმ დროს, როდესაც „პრემიერ-მინისტრი“ მუზორევა იქნება, აღნიშნავს გაზეთი „დეილი მეილი“, მართვა-გამგეობის სადავეები კვლავინდებურად დარჩება რასისტ სმიტს, რომელიც საკანძო პოსტის მიღებას მოელის ახალ კაბინეტში.

მექიკოს ავიაკატასტროფის შემდეგ

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საკდესი). თანდათან ირკვევა ფართოფიუზელაჟიანი სამგზავრო თვითმფრინავის „დს-10“ კატასტროფის მიზეზები. როგორც ცნობილია, ამერიკის ავიაციის ისტორიაში ეს უდიდესი ავიაკატასტროფა გასულ პარასკევს მოხდა ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოს ოჰეარის აეროპორტში დაზუსტებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, კატასტროფის შედეგად დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი 271 კაცი, აგრეთვე იმ დასახლებული პუნქტის ორი მცხოვრები, რომლის რაიონშიც ჩამოვარდა თვითმფრინავი. როგორც უკვე ვიუწყებოდით, კატასტროფა აფრენის დროს მოხდა მას შემდეგ, რაც თვითმფრინავს ერ

ბავშვის საერთაშორისო წელი

1979 წ. მალაზონიას პლაკატი.

შენდა გასახარად!..

„იმისათვის, რომ გავიგოთ, რა ხდება ამა თუ იმ ქვეყანაში, საკმარისია წავიკითხოთ იმ ქვეყნის პატარა ბავშვების ლექსები, გულისყურით დავთვალიეროთ მათი ნახატები“ — ამბობს გამოჩენილი საბჭოთა საბავშვო მწერალი აგნია ბარტო. უდავო ჭეშმარიტებაა!

ამა ნახეთ ჩვენი დიდაქალაქის ერთ-ერთ უმშვენიერეს დარბაზში გახსნილი ბავშვთა რესპუბლიკური მუდმივმოქმედი სამხატვრო გამოფენა.

კაცი გულმშვიდად ვერ გაჩერდება აქ, სადაც პატარებმა ერთბაშად აკაჯაშეს უამრავი ცხრათვალა მზე, აბრეშუმჩუნჩეს ნაკადულები, აშრიალეს მშობლიური ტყე-ველი, სული ჩაუდგეს მთებს, ახალი სიცოცხლე შთაბერეს საქართველოს დიდების უძველეს ძეგლებს, და ამით გამოხატეს თავიანთი ბავშვური, უანგარო სიყვარული ყველაფრისადმი, რაც მათ ირგვლივ არის, რაც დიდებულ წინაპართა ნიჭსა და გარჯას შემოუნახავს, რაც ჩვენი დღეების შრომითს გმროობას შეუქმნია მათს გასახარად და დასატკბობად.

აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს გიგიჭკორელი მოსწავლის დათო ჯანაშიას ლექსის ფიცალთ სუფთა და მტკიცე სტრიქონები:

ლამის საგულეში ჩაგიტაო,
ისე პატარა ხარ საყვარელო.
სულით, გულით მინდა
გემსახურო,
შენი მსახური ვარ, შენ
ხურო,

დედაო საქართველო!

ასე ხედავენ ჩვენი ნორჩები დედასამშობლოს, ასე ესმით თავიანთი ვალი მის წინაშე, ვალი ბეჯითად სწავლისა და კეთილად გარჯისა.

საქართველოს საყმაწვილო ჟურნალ „პიონერს“ მუდამ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა და მიაჩნია გაუღვივოს თავის მკითხველებს სამშობლოს უანგარო სიყვარული, განუვითაროს და განუმტკიცოს. მათ მამოლის სასიკეთოდ და სამომავლოდ გარჯის სურვილი. წელს კი, ბავშვის საერთაშორისო წელს, ჩვენ კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ნორჩი მკითხველების წინაშე. ჟურნალის ფურცლებზე ვცდილობთ რაც შეიძლება ფართოდ და მრავალფეროვნად წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყნის პარტიისა და მთავრობის დაუღალავი ზრუნვა მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის. მომდინარე წელს უკვე გამოვაქვეყნეთ წერილები, რომლებშიც მოზაარდი თაობის სწავლის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები და მომავლის გეგმები აისახა.

ნორჩებს ესაუბრნენ საქართველოს განათლების მინისტრი ამხ. ო. ქინქლაძე, პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ნ. ჯავახიშვილი.

ჟურნალში დიდ ადგილს ეთმობოდა მასალებს, რომლებიც მკითხველს უჩვენებენ თანატოლების ყოფას „კაპიტალის სამყაროში, „კაპიტალიზმი ბავშვების მტერია.

ჩვენი სამშობლო თანასწორუფლებიან ერთა ძმური ოჯახია — ასეთნაირად შეეცადეთ წარმოგვიდგინა ჩვენი ჟურნალის მე-6 ნომერი, რომელიც ძირითადად ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრებს დაეთმო. აქ ერთმანეთის გვერდით გამოქვეყნებულია რუსი, ქართველი, თათარი, უზბეკი, ლატვიელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრები — ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები, ფერწერული სურათები. ეს სამშობლოს სადიდებელი ერთიანი, მრავალხმიანი საგალობელია, „ისარტყელას ულამაზესი ფერებით ამეტყველებული სიყვარულია საბჭოეთის დიდი მეწისა, რომელიც თავისი პატარა მოქალაქეებისათვის „ანონად ქცეულ სიყვარულს „იდევ უფრო განამტკიცებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ჰუმანურობის გამარჯვებისათვის დაუღალავი ბრძოლით.

ბაბულია ზელია,
უურნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი.



ჩვენი მომავალი

ბავშვობა ალბათ მაშინ მთავრდება, როცა არწივის მოღონიერებულ მართვესავით ფრთას შემოკრავ და სკოლის კედლებიდან გაფრინდები, როცა სიმწიფის ატესტატს გადმოგცემენ და გეტყვიან — დღეიდან დამოუკიდებელ ცხოვრებას უნდა შეუდგეო (161-ე საშუალო სკოლის ეს მოსწავლეები სწორედ ამ პირველ სერიოზულ გამოცდას გადიან—სურათზე ზევით), მანამდე კი, მანამდე მხოლოდ უზრუნველი ცხოვრება და უდარდელი წლები იყო — ისეთი, როგორიც დღეს აქვთ ამ კუდრაჭებს (სურათებზე — შუაში და ქვევით), საზაფხულო არდადეგებზე ყაყაჩოებივით რომ მოსდებიან მთა-ბარს, ცასა და მიწას რომ შეეხარიან.

ბ. სანაიას, ჯ. ლომიძისა და მ. ტარასოვის ფოტო.

ფიცი, მადლობა, რწმენა...

ჩვენი გაზეთის ნორჩი კორესპონდენტი ნუგზარ კახიძე ხაბეჩოეთის სამხრეთ საზღვარზე —ტელავიჩაურის რაიონის სოფელ კირნათის სკოლა-ინტერნატში სწავლობს. ზუსტად სკოლა-ინტერნატთან გადის ორი სამყაროს მიჯნა. მდინარე ჭოროხის აქეთ საბჭოთა კავშირია, იქით — თურქეთი და ჩვენი ქართული ეროვნების ნაწილი საზღვრის იქითა მხარეს არის შეფენილი მთაზე. ჭოროხი ხმაურობს და ეს ხმაური აბშობს ჩვენი გოგობიჭების მხიარულ ყიჟინას. ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს მდინარეს არა სწადია სამშობლოს მოწყვეტილ პატარა ქართველებს გული დაუნაღვლიანოსო. არც იქითა მხრიდან ისმის ჩამი-ჩუმი. ჭოროხი ნთქავს, ალბათ, თანამომძმეთა ვნებასაც და ნაღვლიან სიმღერებსაც, მაგრამ აქეთურმა ყმაწვილებმა ისეთიც ეარგად იციან, რა დიდი ზღვარია ამ ორ სამყაროს შორის.

სწორედ ამას გვწერს ნუგზარი ერთ-ერთ წერილში. მას მოსწონს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1979 წელი ბავშვის წლად გამოაცხადა. ეს ძალზე კარგი გადაწყვეტილებაა, დასძენს ნუგზარი და, ალბათ, ამ სტრიქონებს რომ წერდა, თავის საზღვარგარეთელ თანატოლებზე ფიქრობდა, ფიქრობდა მზიანი ნეკოლის ათასობით მშრომელის ბავშვებზე, რომლებიც უმზეო სარდაფებსა და ჯურღმულებში ცხოვრობენ, ჩამოძონძილ ბავშვებზე ბრაზილიის დიდი ქალაქების ქუჩებში რომ დაეხეტებიან და მათხოვრობენ, პარაგვაიში გაყიდულ ინდიელ ბავშვებზე, იმ ასობით ბავშვზე, ყოველწლიურად რომ იღუპება ავადმყოფობის გამო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ჩვენი ბავშვები სულითა და ვნებით ინტერნაციონალისტები არიან, სოლიდარობას ეუბნებიან მსოფლიოს ყველა ჩაგრულ თანატოლს და გულით სწადიათ, რომ ბავშვის საერთაშორისო წელმა შეუმსუბუქოს მათ ხვედრი, ცოტაოდენი ბედნიერება მაინც მოუტანოს. ამიტომ მოსწონს ნუგზარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილება. იგი წერს: „ჟურნალისმით წავიკითხე ნორჩი თაობის დიდი შეგობრის ლ. ი. ბრეჟნევის საახალწლო მისალმება ბავშვებისადმი. ამ მისალმებაში ნათლად ვხედავთ ჩვენი — საბჭოთა ბავშვების „იდევ უფრო უკეთეს მომავალს, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვაა და ამაგს“.

საქართველოს ათასობით ბავშვის გულისნადებია გამოხატული ნუგზარის ამ სიტყვებში. „ჩვენ ხომ მამებისა და დედების სახელოვანი ცხა უნდა გავაგრძოთ“ — ამ სიტყვებით ამთავრებს ნუგზარი წერილს და ეს სიტყვები მისი ფიციც არის, მადლობაც და რწმენაც.

14 ათასი „ორესპონდენცია, წერილი, ლექსი, მოთხრობა, გასართობი, ფოტოსურათი, ნახატი მიიღო რედაქციამ წელს ნორჩი მკითხველებისგან. ეს ხომ ოერაკიული სიმდიდრეა! 14 ათასი კეთილთქმა, ფიქრი, ოცნება, სიხარული, პატარა მკითხველების გულთან გამბული 14 ათასი უხლავი ძაფი! რამდენი რამ მოაქვს ამ ბარათებს ჩვენთან; ახალი იდეები, ახალი თემები, ახალი ოერბიციები...

„ძია ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის მზადება და ბავშვის საერთაშორისო წელი ერთმანეთს დაემთხვა და ჩვენ ერთად აღვნიშნავთ ამ ორ მოვლენას. ეს თითქოს სიმბოლურიც არის, ლენინი და ბავშვები ჩვენთვის ხომ განუყოფელი ცნებებია“, — წერს ნორჩებს ესაუბრნენ საქართველოს განათლების მინისტრი ამხ. ო. ქინქლაძე, პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ნ. ჯავახიშვილი.

ჟურნალში დიდ ადგილს ეთმობოდა მასალებს, რომლებიც მკითხველს უჩვენებენ თანატოლების ყოფას „კაპიტალის სამყაროში, „კაპიტალიზმი ბავშვების მტერია.

ჩვენი სამშობლო თანასწორუფლებიან ერთა ძმური ოჯახია — ასეთნაირად შეეცადეთ წარმოგვიდგინა ჩვენი ჟურნალის მე-6 ნომერი, რომელიც ძირითადად ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრებს დაეთმო. აქ ერთმანეთის გვერდით გამოქვეყნებულია რუსი, ქართველი, თათარი, უზბეკი, ლატვიელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრები — ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები, ფერწერული სურათები. ეს სამშობლოს სადიდებელი ერთიანი, მრავალხმიანი საგალობელია, „ისარტყელას ულამაზესი ფერებით ამეტყველებული სიყვარულია საბჭოეთის დიდი მეწისა, რომელიც თავისი პატარა მოქალაქეებისათვის „ანონად ქცეულ სიყვარულს „იდევ უფრო განამტკიცებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ჰუმანურობის გამარჯვებისათვის დაუღალავი ბრძოლით.

ბაბულია ზელია,
უურნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი.

ქვეყნად მშვიდობას ავალდებულებს

ეს წერილი მუხრან მაჭავარიანის ლექსით მინდა დავიწყო:

„მზე ამოვიდა,
სინათლეს ვაშა!
შემოგარენი რა საყვარლად
განათებულან.
სალამი ბავშვებს! —
გულმხურვალე სალამი
ბავშვებს!
განთიადისას
მზესთან ერთად
დაბადებულებს“.

ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში მილიონობით ბავშვს „მზესთან ერთად დაბადებულებს“, ბედნიერი და უზრუნველი ბავშვობა აქვთ. მათ საიმედოდ იცავს საბჭოთა სახელმწიფო. ჯერ კიდევ იმ უმძიმეს წლებში, როდესაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ყველა ჯურის ინტერვენტები გააფთრებით ებრძოდნენ ახლად შექმნილ საბჭოთა ქვეყანას, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური ვლადიმერ ილიას ძე ლენინი განსაკუთრებულ უურადღებას და მზრუნველობას იჩენდა ბავშვებისადმი. 1919 წლის 4 თებერვალს გამოვიდა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი ბავშვთა დაცვის საბჭოს შექმნის შესახებ. ამავე წელს მაისში გამოვიდა მეორე დეკრეტი ბავშვთა უფასო კვების შესახებ. ვ. ი. ლენინი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ბავშვების ცხოვრების პირობები როგორმე გაეუმჯობესებინა.

ყველაფერი, რაც კი საუკეთესო მოგვეპოვება, — ბავშვებს, — ასეთი იყო ვ. ი. ლენინის მოწოდება. ეს ლენინური მზრუნველობა ბავშვების მიმართ, სამუდამოდ დამკვიდრდა, პარტიისა და ხელისუფლების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების კანონად იქცა.

ათას ცხრაას სამოცდაცხრამეტ წელს დედამიწაზე დამკვიდრდა ბავშვის წელი. ეს წელი კაცობრიობას ქვეყნად მშვიდობას ავალდებულებს. მთელი მსოფლიოს პატიოსანმა ადამიანებმა გადაწყვიტეს გააერთიანონ თავიანთი ძალები და იბრძოლონ ბავშვთა უფლებების დაცვისათვის, იმისათვის, რომ ყოველ ბავშვს ჰქონდეს ცხოვრების ნორმალური პირობები და ბედნიერი ბავშვობა.

ბავშვის წელთან დაკავშირებით საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თავის საახალწლო მილოცვაში წერს: „ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვეცადოთ, რათა არც ერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ, რა არის ომი, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ“.

მარგო თომაძე.

ნაკრების მწვრთნელად მიიწვიეს

თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი მიწვეულია სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად. მისი დებიუტი იქნება ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა^ მატჩი, რომელიც ჰელსინკში გაიმართება. აქ საბჭოთა ნაკრებს უხელმძღვანელებს სამი მწვრთნელი — ნ. სიმონიანი, ს. მოსიაგინი და ნ. ახალკაცი. (საქინფორმი).

მეთერთმეტე ტური

გუშინ მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკას მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური. შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებით — 2:1.

დღეს ამ ტურის 7 მატჩი გაიმართება: „დინამო“ (კიევი)-„ყარათი“, „ზარია“-„ფეხთა-ჭორი“, „შახტიორი“-„არარატი“, „ზენიტი“-„დინამო“ (მინსკი), „ტორპედო“-„ნეფთჩი“, „ქრილია სოვეტოვი“-„ლოკომოტივი“, „ჩერნომორეცი“-„დინამო“ (თბილისი). **საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამო“ და ოდესის „ჩერნომორეცი“ ერთმანეთს 22-ჯერ შეხვდნენ. თბილისელებმა 10 მატჩი მოიგეს, 7 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და 5 წააგეს. ბურთების შეფარდება 31:21 დინამოელთა სასარგებლოდ. შარშანდელ გათამაშებში თბილისელებმა ორივე შეხვედრა მოიგეს — 2:1 და 1:0.**

ხვალ ტურის ბოლო მატჩია. ერთმანეთს ხვდებიან „სპარტაკი“ და დონის როსტოვის არმიელთა გუნდი.